



NATIONAL CENTER FOR  
EDUCATIONAL QUALITY  
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო  
პროგრამის შესახებ

ბიზნეს ინფორმატიკა, სამაგისტრო პროგრამა

ა(ა)იპ

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი

2023 წლის 6-7 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ .....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	Error! Bookmark not defined.
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	Error! Bookmark not defined.
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა .....	Error! Bookmark not defined.
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....	Error! Bookmark not defined.
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	Error! Bookmark not defined.
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .....	Error! Bookmark not defined.
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	Error! Bookmark not defined.

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სეიფედინ კადრი - ნოროფის უნივერსიტეტის კოლეჯი, ნორვეგია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მაქსიმ იავიჩ, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ია ბუცხრიკიძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ბიზნეს ინფორმატიკა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Business Informatics
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	სანგუ: ინფორმატიკის მაგისტრი/Master of Science in Informatics ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი: ბიზნეს ინფორმატიკის მაგისტრი/Master of Science in Business Informatics
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი 0613
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>	----
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/ და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/ შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/ პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	---

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup>მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში



## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ<sup>4</sup>

ბიზნეს ინფორმატიკის ერთობლივი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის განხორციელება დაგეგმილია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით, რომელიც აშშ-ში ერთ-ერთ საუკეთესო და წარმატებულ ცენტრს წარმოადგენს ინფორმატიკის დარგში. სასწავლო პროცესი წარიმართება ინგლისურ ენაზე ქართველი და ამერიკელი პროფესორების მიერ. ამერიკელი ლექტორები სწავლის პროცესში ეწვევიან წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტს და პროგრამის სტუდენტები სტაჟირებას ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტში გაივლიან. პროგრამა 120 კრედიტისგან შედგება და მისი სტანდარტული ხანგრძლივობა 4 სემესტრია (2 წელი). პროგრამის კურსდამთავრებულები მაგისტრის ხარისხს ორივე უნივერსიტეტიდან მიიღებენ (ინფორმატიკის და ბიზნეს ინფორმატიკის მიმართულებით).

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2023 წლის 3 ივლისს ექსპერტთა ჯგუფს თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები გაეგზავნა. 2023 წლის 5 ივლისს ექსპერტთა ჯგუფი დაგეგმვის შეხვედრაზე შეიკრიბა (ვირტუალურად), ხოლო 2023 წლის 5 და 6 ივლისს დაწესებულებაში ვიზიტი შედგა. ჯგუფის ოთხი წევრი ფიზიკურად ესწრებოდა ვიზიტს, ერთი კი (თავმჯდომარე) მონაწილეობდა ვირტუალურად. SANGU-სა და UNK-ის ახალი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა დისტანციურად განიხილეს 5 ივლისს და 6 ივლისს იგივე ჯგუფი ეწვია დაწესებულებას.

**დღე 1:** ჩატარდა ინტენსიური და ყოვლისმომცველი შეხვედრები ორივე უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. შეხვედრა სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან გაიმართა წმ. ანდრიას ქართულ უნივერსიტეტში.

**დღე 2:** ჩატარდა ვიზიტი წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტის რესურსების შესამოწმებლად (საკლასო ოთახები, კომპიუტერული ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა).

### • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

#### სტანდარტი 1:

კომპონენტები 1.1 - 1.5 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

#### სტანდარტი 2:

კომპონენტები 2.1, 2.2, 2.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

კომპონენტები 2.3 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

#### სტანდარტი 3:

კომპონენტები 3.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 3.2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<sup>4</sup> პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

#### **სტანდარტი 4:**

კომპონენტები 4.1 – 4.5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

#### **სტანდარტი 5:**

კომპონენტები 5.1 – 5.3 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

#### **რეკომენდაციები**

რეკომენდაცია 1.1 სტანდარტისთვის:

1. პროგრამამ უნდა დახვეწოს პროგრამის მიზნების ფორმულირება ისე, რომ მასში ნათლად აისახოს სასწავლო სფეროს სპეციფიკა, საფეხური და საგანმანათლებლო პროგრამა.
2. პროგრამამ უნდა გააერთიანოს თავისი მიზნები, რადგან თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამის აღწერილობის დოკუმენტს შორის გარკვეული შეუსაბამობები აღმოვაჩინეთ.
3. პროგრამის მიზნები და წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტის მიერ მისანიჭებული კვალიფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

რეკომენდაცია 1.3 სტანდარტისთვის:

4. უნდა გაუმჯობესდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების განსაზღვრული მექანიზმი.
5. უნდა შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რათა დადგინდეს, როდის (სემესტრი) და როგორ (მაგ. ქვიზი, გამოცდა, საშინაო დავალება...) შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები ძირითად კურსებში. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას დამატებითი ცხრილი, რომელიც ასახავს კურსის სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობას. უნდა განისაზღვროს იმ ქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა განხორციელდეს, პროგრამის სწავლის შედეგების ვერ დაკმაყოფილების შემთხვევაში.

რეკომენდაცია 1.4 სტანდარტისთვის:

6. შეცვალეთ წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტის „ინფორმაციული სისტემების მაგისტრის“ პროგრამისთვის მისანიჭებული კვალიფიკაცია ან შესაბამისად განაახლეთ მეორე წლის სასწავლო გეგმა.
7. იმისათვის, რომ დააკმაყოფილოთ ინფორმატიკის მეცნიერების მაგისტრის კვალიფიკაციის მოთხოვნა, ჩვენ გთავაზობთ ორ შესაძლო სცენარს; სცენარი 1: შეინარჩუნეთ კურსები ისე, როგორც ისინი პროგრამაშია აღწერილი და შეუცვალეთ სათაური - „ინფორმაციული სისტემების მაგისტრი“, სცენარი 2: მეორე კურსის ძირითადი კურსებიდან სამი სავალდებულო კურსი ჩაანაცვლეთ სამი არჩევითი კურსიდან 4 (იხ. პროგრამის აღწერა გვერდი 8) და დარჩეს დასახელება „ინფორმატიკის მაგისტრი“.
8. ჩვენ ასევე გთავაზობთ "მონაცემთა მეცნიერების" და "მანქანათმცოდნეობის" კურსების წინაპირობად "ბიზნეს ანალიტიკის" კურსის დამატებას.

რეკომენდაცია 1.5 სტანდარტისთვის:

9. ზოგიერთი სილაბუსები ზოგადია და არ აშუქებს დეტალებს და კურსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის კავშირი გაურკვეველია. ჩვენ გირჩევთ არსებული სილაბუსების განახლებას.

რეკომენდაცია 2.3 სტანდარტისთვის:

10. შეიმუშავეთ დეტალური პროტოკოლი ყველა დისტანციური კურსისთვის: მიწოდების პლატფორმა, შეფასება, კონსულტაცია, შეფასება... და ა.შ.

რეკომენდაცია 3.2 სტანდარტისთვის:

11. სტუდენტებს უნდა შესთავაზონ ლექციები კვლევის უნარების შესახებ და უნდა შეიმუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის მკაფიო აღწერა. ჩვენ შევნიშნეთ, რომ სხვა პროგრამის სამაგისტრო ნაშრომები მოკლეა სულ რამდენიმე მითითებული ლიტერატურით, რაც კვლევითი სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტს არ შეესაბამება. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკა არ არის ყოვლისმომცველი და საჭიროებს რესტრუქტურზაციას.

**12. წმ. ანდრიას ქართულმა უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელმძღვანელობის/ თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას და განვითარებას.**

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- პროგრამამ უნდა გააერთიანოს თავისი მიზნები, რადგან ექსპერტთა ჯგუფმა გარკვეული შეუსაბამობები აღმოაჩინა თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამის აღწერილობის დოკუმენტებს შორის.
- პროგრამა მოიცავს ცხრა სწავლის შედეგს (SLO1- 9), რომელიც აღწერს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას, რომელსაც სტუდენტები იძენენ პროგრამის დასრულების შემდეგ. ჩვენ აღმოვაჩინეთ მცირე შეუსაბამობები თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამის აღწერილობის დოკუმენტში ნახსენებ მიზნებს შორის, რაც საჭიროებს შესწორებას.
- ბლუმის ტაქსონომიის ზედა დონიდან არც ერთი ზმნა არ იყო გამოყენებული და ამიტომ, სასურველია ამ დონიდან სულ მცირე ერთი ზმნის გამოყენება, რათა მიზნები პროგრამის საფეხურის შესაბამისი იყოს.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>5</sup>**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

<sup>5</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის



ექსპერტთა ჯგუფის უკუკავშირი „არგუმენტირებულ პოზიციაზე“ ბიზნეს ინფორმატიკის ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის SANGU-ს უნივერსიტეტს ჩვენი დასკვნის შესახებ უკუკავშირისთვის. CS2023-ის (ACM/IEEE- CS/AAAI სასწავლო გეგმების) კონსულტაციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ახალი მაგისტრატურის მიმდინარე შემოთავაზებული სასწავლო გეგმა მიეკუთვნება საინფორმაციო სისტემებს; ამიტომ რეკომენდაცია 2 უცვლელი რჩება:

რეკომენდაცია 2: იმისათვის, რომ დააკმაყოფილოთ ინფორმატიკის მეცნიერების მაგისტრის კვალიფიკაციის მოთხოვნა, ჩვენ გთავაზობთ ორ შესაძლო სცენარს: სცენარი 1: შეინარჩუნეთ კურსები ისე, როგორც ისინი პროგრამაშია აღწერილი და შეუცვალეთ სათაური - „ინფორმაციული სისტემების მაგისტრი“. სცენარი 2: მეორე კურსის ძირითადი კურსებიდან სამი სავალდებულო კურსი ჩაანაცვლეთ სამი არჩევითი კურსიდან 4 (იხ. პროგრამის აღწერა გვერდი 8) და დარჩეს დასახელება „ინფორმატიკის მაგისტრი“.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

##### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე ასახავენ, რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ამერიკის შეერთებული შტატებში ინფორმატიკის სფეროში ერთ-ერთ საუკეთესო და მაღალი შედეგების მქონე ინსტიტუტთან, ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტთან (NKU) თანამშრომლობით, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი (SANGU) გეგმავს განახორციელოს ერთობლივი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა ინფორმატიკაში.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თანხმობის წერილი გასცა ინგლისურენოვანი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაზე. ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტთან (აშშ) თანამშრომლობით შეიქმნა ინტერდისციპლინარული სასწავლო პროგრამა სახელწოდებით „მეცნიერების მაგისტრი ინფორმატიკაში“. რამდენადაც ინფორმაციული ტექნოლოგიების სფერო სწრაფად ვითარდება, სტუდენტები მიიღებენ თანამედროვე სწავლებას რათა ჩამოყალიბდნენ მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებად. კორპორაციული საინფორმაციო სისტემებისა და მენეჯმენტის, სისტემური აზროვნებისა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გადაწყვეტილების მიღების სფეროში პრაქტიკული გამოცდილებისა და თეორიული ცოდნის გადაცემით, პროგრამა ამზადებს მათ ეროვნული და საერთაშორისო შრომის ბაზრებისთვის, შესაბამისი სტანდარტების დაცვით. შესაბამისად, მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო და ინტერდისციპლინარულ პროექტებში.

პროგრამა განსაზღვრავს ოთხ მიზანს (პროგრამის მიზანი 1- 4), რომლებიც შეესაბამება SANGU-ს მისიას და ითვალისწინებს ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტისა და SANGU-ს მიერ ორი დიპლომის მინიჭებას. მისანიჭებელი კვალიფიკაციები განსხვავებულია თითოეულ ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის მიხედვით. ქართული მხარის მიერ მინიჭებული ხარისხი არ არის სრულ შესაბამისობაში მიზნებთან - ჩვეულებრივ, ინფორმატიკის მაგისტრის შესაბამისი პროგრამის მიზნები უფრო ზოგადია და არ არის ორიენტირებული კონკრეტულ სფეროზე, ანუ საინფორმაციო სისტემებზე. პროგრამის დასახელება და მიზნები თანხვედრაშია, მაგრამ აუცილებელია დიპლომის ქართული ნაწილის შესაბამისობაში მოყვანა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

**ინფორმატიკა** არის გამოთვლითი სისტემების შესწავლა. ACM ევროპის საბჭოსა და Informatics Europe-ის თანახმად, ინფორმატიკა არის კომპიუტერული მეცნიერებისა და კომპიუტერული მეცნიერების, როგორც პროფესიის სინონიმი, რომლის ცენტრალური ცნება ინფორმაციის ტრანსფორმაციაა.

**ბიზნეს ინფორმატიკის** სფერო იკვლევს ურთიერთქმედებას ტექნოლოგიას, ბიზნესსა და საზოგადოებას შორის. ბიზნეს ინფორმატიკა იყენებს ინფორმაციის მართვის ინსტრუმენტებს ბიზნესთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავების, მართვისა და ანალიზისთვის.

**საინფორმაციო სისტემების** ხარისხი ასწავლის სტუდენტებს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ტექნოლოგია ბიზნეს გარემოში. ბიზნეს ინფორმატიკა ავლენს მსგავსებას საინფორმაციო სისტემებთან (IS); ეს არის კარგად დამკვიდრებული დისციპლინა, რომელიც წარმოიშვა ჩრდილოეთ ამერიკაში.

ინფორმატიკის მაგისტრი არის პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია საქართველოს უნივერსიტეტისთვის. შინაარსობრივად (სავალდებულო საგნების რაოდენობისა და შინაარსის მიხედვით – 7 საგანი: საინფორმაციო სისტემები ორგანიზაციებში, სისტემების ანალიზი და დიზაინი, საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტების მენეჯმენტი, ბიზნეს ანალიტიკა, კორპორატიული IS მენეჯმენტი, სტრატეგიული ბიზნეს მენეჯმენტი, ბიზნეს სამართალი) მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება „საინფორმაციო სისტემებს“. საქართველოს საკვალიფიკაციო ეროვნული ჩარჩოს მიხედვით, „ინფორმატიკა“ და „საინფორმაციო სისტემები“ ერთსა და იმავე დონეს შეესაბამება. ამიტომ უნდა შეირჩეს ისეთი კვალიფიკაცია, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და შინაარსს).

ინფორმაცია პროგრამის მიზნებისა და საერთო მახასიათებლების შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე. გასაუბრებების დროს ყველა მონაწილე დაინტერესებულმა მხარემ გამოამჟღავნა ცოდნა ინსტიტუციური მიზნების შესახებ და რომ აცნობიერებენ საკუთარ როლს ზოგად სტრატეგიაში.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- SANGU-ს მისია: <https://sangu.edu.ge/geo/article/universitetis-misia>;
- SANGU-ს სტრატეგია; <http://dl.sangu.edu.ge/pdf/debulebebi/strategia.pdf>
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

#### **რეკომენდაციები:**

- პროგრამამ უნდა დახვეწოს პროგრამის მიზნების ფორმულირება ისე, რომ მასში ნათლად აისახოს სასწავლო სფეროს სპეციფიკა, საფეხური და საგანმანათლებლო პროგრამა.
- პროგრამამ უნდა გააერთიანოს თავისი მიზნები, რადგან ექსპერტთა პანელმა გარკვეული შეუსაბამობები აღმოაჩინა თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამის აღწერილობის დოკუმენტს შორის.
- პროგრამის მიზნები და წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტის მიერ მისანიჭებელი კვალიფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- პროგრამამ უნდა გააერთიანოს თავისი მიზნები, რადგან ექსპერტთა ჯგუფმა გარკვეული შეუსაბამობები აღმოაჩინა თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამის აღწერილობის დოკუმენტებს შორის.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების უმეტესობა აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას, რომელიც სტუდენტმა პროგრამის დასრულების შემდეგ უნდა შეიძინოს. ისინი ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის მიზნებს და სასწავლო დარგის თავისებურებებს. პროგრამა ქმნის მკაფიო რუკას პროგრამის ცხრა სწავლის შედეგსა და პროგრამის ოთხ მიზანს შორის.

უმადლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად, მომზადებულია პროგრამის მასშტაბი, მიღების მოთხოვნები, პროგრამის მიზნები და შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები, სასწავლო გეგმით შემოთავაზებული კურსები და მათი სილაბუსები და სხვა დამატებითი ინფორმაცია. საჭირო სამაგისტრო დონის მოპოვება იძლევა შედეგს. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის დასადგენად გამოყენებული იქნება შეფასების სწორი კომპონენტები, ტექნიკა და კრიტერიუმები. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სასწავლო სფეროს და აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნას.

ჩვენ აღმოვაჩინეთ გარკვეული შეუსაბამობები თვითშეფასების ანგარიშის ინგლისურ ვერსიაში და პროგრამის აღწერილობის დოკუმენტში მოცემულ შედეგებს შორის. უნივერსიტეტის განცხადებით, ეს არის თარგმანის დროს დაშვებული ტექნიკური შეცდომა. ორენოვანი დოკუმენტაციის მომზადებისას უნდა მოხდეს დეტალური შედარება ასეთი გაუგებრობების აღმოსაფხვრელად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.
- სილაბუსები
- პროგრამის აღწერის დოკუმენტი
- 

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- პროგრამა მოიცავს ცხრა სწავლის შედეგს (SLO1- 9), რომელიც აღწერს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას, რომელსაც სტუდენტები იძენენ პროგრამის დასრულების შემდეგ. ჩვენ აღმოვაჩინეთ მცირე შეუსაბამობები თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამის აღწერილობის დოკუმენტში ნახსენებ მიზნებს შორის, რაც საჭიროებს შესწორებას.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის აღწერა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, სწავლის შედეგების შეფასების დაწესებულების სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად. სწავლის შედეგების შესაფასებლად გროვდება მონაცემები, რომლებსაც ანალიზებს სპეციალური კომისია

და ხდება სწავლის შედეგების რაოდენობრივი შეფასება. ორ უმაღლეს სასწავლებელს აქვს სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისი მექანიზმი, მათი რეგულაციებისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად. შემფასებელი ჯგუფი დაკომპლექტებულია სხვადასხვა როლის მქონე წევრებით, რაც მრავალმხრივ და განსხვავებულ შეხედულებებს გვაძლევს. მეთოდები, მათ შორის რეგულარულად გამოყენებული პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმები, შესაბამისია. თითოეული სწავლის შედეგისთვის უკუკავშირის სქემები საკმარისია და ძალიან კარგად არის შემუშავებული. პროგრამას აქვს შესაბამისი მახასიათებლები. ორივე უსდ უზრუნველყოფს შედეგების რეგულარულ შეფასებასა და მონიტორინგს და შედარებას განსაზღვრულ მახასიათებლებთან. ასევე პროცედურას, რომელიც იყენებს შეფასების შედეგებს პროგრამის გაუმჯობესებისთვის. შეფასების სქემა მოიცავს კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებს, პროგრამის სავალდებულო კურსებსა და კვლევის კომპონენტს შორის. გარდა ამისა, შეფასების პროცესში გამოიყენება ინფორმაციის შეგროვების შემდეგი მეთოდები: კურსდამთავრებულთა თვითშეფასება (როგორ შეაფასებენ მიღწეულ შედეგებს); კურსდამთავრებულთა უნარების შეფასება დამსაქმებლების მიერ; კურსდამთავრებულთა საშუალო ქულა (GPA); საბაკალავრო ნაშრომების საბოლოო შეფასების ანალიზი; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები.

პროგრამის პერსონალს ეხმარებიან სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში; სასწავლო კურსის/ კვლევითი კომპონენტით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება უნდა განხორციელდეს სასწავლო კურსისა და კვლევის კომპონენტის დასრულების შემდეგ. შესაბამისად, სათანადოდ არის გათვალისწინებული თანმიმდევრულობა და პერიოდულობა, ასევე სასწავლო სფეროსა და განათლების საფეხურის თავისებურებები. ორივე უსდ უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისთვის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის გაცნობას.

თუმცა, აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება. პროგრამის სწავლის შედეგების უმეტესობა აღწერილია გაზომვადი ზომების გამოყენებით და ეს დაეხმარება მათ შეფასებაში, ორი სწავლის შედეგი (სწავლის შედეგი 6 და სწავლის შედეგი 9) უნდა შეიცვალოს ისე, რომ შეიცავდეს გაზომვად ზომებს. ბლუმის ტაქსონომიის ზედა დონიდან არცერთი ზმნა არ იყო გამოყენებული და ამიტომ, რეკომენდებულია ამ დონის სულ მცირე ერთი ზმნის გამოყენება სამაგისტრო პროგრამის საფეხურზე.

პროგრამამ განსაზღვრა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, თუმცა კარგი იქნებოდა ცხრილი, რომელიც ასახავდა, სად (ანუ კურსები), როდის (ანუ სემესტრი) და როგორ (მაგ. ქვიზი, გამოცდა, საშინაო დავალება...) შეფასდება თითოეული სწავლის შედეგი ძირითადი კურსებით. სასურველი იქნება კიდევ ერთი ცხრილის შექმნა, რომელიც ასახავს კურსის სწავლის შედეგებს და პროგრამის სწავლის შედეგებს. უნდა განისაზღვროს იმ ქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა განხორციელდეს, თუკი პროგრამის სწავლის შედეგების ვერ დაკმაყოფილდება.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან
- სილაბუსები

- პროგრამის აღწერის დოკუმენტი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- პროგრამის შემუშავების ჯგუფის სამუშაო ოქმები
- კურიკულუმის რუკა

**რეკომენდაციები:**

- უნდა გაუმჯობესდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების განსაზღვრული მექანიზმი.
- უნდა შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რათა დადგინდეს, როდის (სემესტრი) და როგორ (მაგ. ქვიზი, გამოცდა, საშინაო დავალება...) შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები ძირითად კურსებში. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას დამატებითი ცხრილი, რომელიც ასახავს კურსის სწავლის შედეგებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობას. უნდა განისაზღვროს იმ ქმედებების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა განხორციელდეს, თუკი პროგრამის სწავლის შედეგები ვერ დაკმაყოფილდება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- 

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი**

- პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამა შემუშავებულია SANGU-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით. ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია საქართველოს

კანონმდებლობისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად და მოიცავს 120 ECTS კრედიტს, რომლებიც ნაწილდება შემდეგნაირად: 66 კრედიტი - სპეციალობის სავალდებულო საგნები, 24 კრედიტი - სპეციალობის არჩევითი საგნები, 30 კრედიტი – კვლევითი პროექტი. პროგრამის ტიპური სწავლის პერიოდი ორი წელია. სტუდენტები სწავლის პირველ წელს გადიან NKU-ს მიერ შემოთავაზებულ სავალდებულო და არჩევით კურსებს, ხოლო მათი სწავლის მეორე წელი მთლიანად არის ორიენტირებული SANGU სასწავლო და კვლევით კომპონენტზე/ კვლევით პროექტზე.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს მიზნების მიღწევას, არსებობს შეუსაბამობა SANGU-ს მიერ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვრება ინფორმატიკის მაგისტრი. შინაარსობრივად (სავალდებულო საგნების რაოდენობისა და შინაარსის მიხედვით) მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება „საინფორმაციო სისტემებს“. საქართველოს საკვალიფიკაციო ეროვნული ჩარჩოს მიხედვით, „ინფორმატიკა“ და „საინფორმაციო სისტემები“ ერთსა და იმავე დონეს შეესაბამება.

პროგრამის ტიპური სწავლის პერიოდი ორი წელია. სტუდენტები სწავლის პირველ წელს გადიან NKU-ს მიერ შემოთავაზებულ სავალდებულო და არჩევით კურსებს, ხოლო მათი სწავლის მეორე წელი მთლიანად არის ორიენტირებული SANGU სასწავლო და კვლევით კომპონენტზე/ კვლევით პროექტზე. ბიზნეს ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის შექმნის დია, გამჭვირვალე პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრი მონაწილეობდა და გამოყენებული იქნა მრავალი მექანიზმი პროგრამის საჯაროობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, პროგრამის დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესები და პროცედურები.
- საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა და შეფასება;
- პროგრამის შემუშავების სამუშაო შეხვედრების ოქმები.
- საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა.
- სილაბუსები.
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

#### **რეკომენდაციები:**

- შეცვალეთ SANGU-ს „ინფორმაციული სისტემების მაგისტრის“ პროგრამისთვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ან შესაბამისად განაახლეთ მეორე წლის სასწავლო გეგმა.
- იმისათვის, რომ დააკმაყოფილოთ ინფორმატიკის მეცნიერების კვალიფიკაციის მოთხოვნა, ჩვენ გთავაზობთ ორ შესაძლო სცენარს, სცენარი 1: შეინარჩუნეთ კურსები ისე, როგორც ისინი



პროგრამაში აღწერილი და შეუცვალეთ სათაური - „ინფორმაციული სისტემების მაგისტრი“, სცენარი 2: მეორე კურსის ძირითადი კურსებიდან სამი სავალდებულო კურსი ჩაანაცვლეთ სამი არჩევითი კურსიდან 4 (იხ. პროგრამის აღწერა გვერდი 8) და შეინარჩუნეთ დასახელება „ინფორმატიკის მაგისტრი“.

- ჩვენ ასევე გთავაზობთ "მონაცემთა მეცნიერების" და "მანქანათმცოდნეობის" კურსების წინაპირობად "ბიზნეს ანალიტიკის" კურსის დამატებას,

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**

- ბლუმის ტაქსონომიის ზედა დონიდან არც ერთი ზმნა არ იყო გამოყენებული და ამიტომ, სასურველია ამ დონიდან სულ მცირე ერთი ზმნის გამოყენება, რათა მიზნები პროგრამის საფეხურის შესაბამისი იყოს.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.5. სასწავლო კურსი/საგანი**

- სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/ საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტების შემუშავებისას ინფორმატიკის პროგრამის სწავლის შედეგები საწყის წერტილს წარმოადგენდა და მათზე დაყრდნობით შემუშავდა სასწავლო კურსების კონკრეტული შედეგები, რასაც მოწმობს პროგრამის სწავლის შედეგებსა და კომპონენტებს შორის შესაბამისობის რუკა.

ის ხელს უწყობს შიდა, გარე და საერთაშორისო მობილობის პროცესს, რადგან თითოეულ სასწავლო კურსს ენიჭება ექვსი კრედიტი. ეს უადვილებს სტუდენტებს სწავლის დაგეგმვას, აუმჯობესებს ერთობლივი საერთაშორისო პროგრამის განხორციელების ტექნიკურ ასპექტებს და ამარტივებს პროცესს. იმის

უზრუნველსაყოფად, რომ კრედიტების რაოდენობა ასახავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების რაოდენობას, კურსის დაგეგმვისა და სილაბუსის შემუშავებისას გათვალისწინებულია იმ მასალის სირთულე, ბუნება, სპეციფიკა და მოცულობა, რაც სტუდენტებმა უნდა დაამუშაონ. დასამუშავებელი მასალის შერჩევისას გათვალისწინებულია სტუდენტებიც. ზოგიერთი სილაბუსი მოითხოვს უფრო დეტალურ ინფორმაციას თემების/ ქვეთემების შესახებ, როგორცაა მონაცემთა მეცნიერება და მანქანათმცოდნეობის კურსები და სხვა.

ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის გაშვების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი მონიტორინგს გაუწევს სამუშაო დატვირთვის ან საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების განაწილებას კითხვარების, სტუდენტების გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფების მეშვეობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა.
- სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

- ზოგიერთი სილაბუსები ზოგადია და არ აშუქებს დეტალებს და კურსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის კავშირი გაურკვეველია. ჩვენ გირჩევთ არსებული სილაბუსების განახლებას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება- სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტებს აქვთ ერთობლივი პროგრამების განხორციელების გამოცდილება. მათ უკვე აქვთ მსგავსი მართვის პროგრამა. ანალოგიურად, ამჟამად მიმდინარე პროგრამასთან ერთად, არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული პროგრამაზე მიღების პროცედურები, რომლებიც არის შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. ბიზნეს ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები შეიქმნა ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით და გათვალისწინებული იყო ბიზნეს ინფორმატიკის სპეციფიკა და საჭიროებები ორივე პარტნიორ უნივერსიტეტში. პირობები გადაწყდა ონლაინ სესიების მეშვეობით და შეთანხმების შედეგები აისახა ხელშეკრულებაში, რომელსაც საბოლოოდ ორივე დაწესებულებამ მოაწერა ხელი. ბიზნეს ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამაზე დასაშვებად საქართველოს მოქალაქეებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნები: ბაკალავრის ხარისხი 4-დან სულ მცირე 2,5 GPA, ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება, საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე (IELTS, TOEFL ან Duolingo), ან ერთობლივი ტესტი, რომელიც მოიცავს SANGU- ს მიერ ჩატარებულ გამოცდას და NKU-ს მიერ ჩატარებულ გამოცდას/ინტერვიუს სპეციალობაში.

კანდიდატმა უნდა აჩვენოს პროგრამირებისა და ალგორითმების საფუძვლების ცოდნა მისაღები გამოცდის ან გასაუბრების დროს, რათა უზრუნველყოს ბიზნეს ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო მიზნების შესრულება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა.
- თვითშეფასების ანგარიში.
- გასაუბრების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პრაქტიკული უნარების განვითარება უზრუნველყოფილია ცალკეული სასწავლო კურსებით გათვალისწინებული კონკრეტული პრაქტიკული პროექტების/დავალებების, ლაბორატორიული/პრაქტიკული სამუშაოების შესრულებით.

სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამის ჩარჩო იცავს ბალანსს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას შორის, ასევე საგანმანათლებლო ელემენტებს შორის, რომლებიც ხელს უწყობს პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას. ამ სტრატეგიის შემუშავებაზე ორმა ფაქტორმა იქონია გავლენა: კვლევის კომპონენტთან დაკავშირებით არსებული სამაგისტრო საფეხურის სამართლებრივი მოთხოვნები და პროგრამის დარგობრივი საბჭოს წევრების რჩევები.

ქვემოთმოყვანილი სასწავლო პროგრამები შექმნილია იმისათვის, რომ დაეხმაროს სტუდენტებს ბიზნეს ინფორმატიკის მიმართულებით გაიძლიერონ თავიანთი პრაქტიკული უნარები: „მონაცემთა ბაზის მართვის სისტემები“, „ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მართვა“, „ბლოკჩეინი ბიზნესისთვის“, „ინფორმაციის უსაფრთხოება და მართვა“, „კორპორატიული ინფორმაციული სისტემები“, „მონაცემთა კომუნიკაცია და ქსელური უსაფრთხოება“, „კომპიუტინგის ძირითადი ტექნოლოგიების გაძლიერებული კურსი“ და „ინტენსიური Python ბიზნეს ინფორმატიკისთვის.“ პროგრამის სხვა კურსები მოიცავს პრაქტიკულ ელემენტებს, რომლებიც ხელს უწყობენ პრაქტიკული და კვლევითი შესაძლებლობების განვითარებას, როგორცაა პრაქტიკული გაკვეთილები, ლაბორატორიული სამუშაოები და ჯგუფური პროექტები, პრეზენტაციები და ნაშრომები.

პროგრამის სტრუქტურაში დამოუკიდებელი პრაქტიკის კომპონენტის ნაკლებობის მიუხედავად, წმ. ანდრეას ქართული უნივერსიტეტი ინარჩუნებს მჭიდრო კავშირებს უამრავ პოტენციურ დამსაქმებელთან, რაც შესაძლებელს ხდის იმ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებას, რომლებმაც სერტიფიცირების სხვადასხვა გზას მიმართეს.

დაწესებულებას აქვს „კვლევის დაფინანსების წესი“, რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო ღონისძიებებსა და სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობას.

წარმოდგენილი პროგრამა ახალია, ამიტომ ექსპერტებმა გამოკითხეს სხვა პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სტუდენტურ კონფერენციებსა და დაწესებულების სხვადასხვა ღონისძიებებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა.
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრების შედეგები
- სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კურსების უმეტესობაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და შერჩეულია ამ სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით. სწავლის პროცესში, კონკრეტული საგანმანათლებლო დავალების შესაბამისად გამოიყენება ვერბალური, წიგნზე მუშაობის, წერილობითი მუშაობის, დემონსტრირების, პრაქტიკული შემთხვევის ანალიზის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, ინდუქციური, დედუქციური, ანალიზის, სინთეზის, ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობითი, ევრისტიკული, მოქმედებაზე ორიენტირებული და შედარებითი მეთოდები.

თითოეული სასწავლო კურსის შესწავლა გულისხმობს რამდენიმე მეთოდის გამოყენებას – სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფიკის, მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით. პროგრამის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფართოდ გამოიყენება პრაქტიკული შემთხვევის ანალიზი და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში. სწავლებისა და სწავლის ტექნიკების შერჩევისას გათვალისწინებული იქნა შემდეგი ფაქტორები: სამაგისტრო საფეხურის უნიკალურობა, აქცენტი კვლევისა და პრაქტიკული უნარების ზრდაზე, რჩევები, რომლებიც შეეხებოდა უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში, ბიზნეს ინფორმატიკის მიმართულების უნიკალურობა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკები ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გზით.

პროგრამა მოიცავს ელექტრონული სწავლებას. გარდა ამისა, უმეტესწილად, აშშ-ს პარტნიორი უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში ჩართვა დისტანციურ (ონლაინ) სწავლებას მოიაზრებს. პროგრამასა და წარმოდგენილ მასალაში არ არის ასახული დისტანციური სწავლების განხორციელების კონკრეტული პროცედურა. საწყის ეტაპზე, აუცილებელია მსგავსი სასწავლო კურსების განხორციელების პროცედურების აღწერა - სწავლებისთვის გამოყენებული პროგრამული პლატფორმა, ინფორმაციის მიწოდების პროცედურა, შეფასების პროცედურა და ა.შ.

წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი გთავაზობთ სტუდენტზე ორიენტირებულ განათლებას, რომელიც მოიცავს და ითვალისწინებს პროგრამის შემუშავებისა და განახლების დროს სტუდენტების მოსაზრებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას (საგნების არჩევა, მობილობა და წინა განათლების მიღების შესაძლებლობა) და სასწავლო პროცესის ინტერაქტიულობასა და ეფექტურობას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის უნარი, რომელიც მორგებულია სტუდენტის საჭიროებებზე და სხვა აუცილებელ საკითხებზე, ისევე როგორც სტუდენტის სხვადასხვა მოთხოვნილებებზე, საჭიროებებზე და აკადემიურ მსჯელობაზე, განსაკუთრებით მარტივს ხდის თითოეული სტუდენტის უნიკალური საჭიროებების გათვალისწინებას.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა.
- სილაბუსები.

- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- შეიმუშავეთ დეტალური პროტოკოლი ყველა დისტანციური კურსისთვის: მიწოდების პლატფორმა, შეფასება, კონსულტაცია, შეფასება... და ა.შ.

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.4. სტუდენტების შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

წმ. ანდრეას ქართულ უნივერსიტეტში, სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი პრინციპების, წესებისა და პროცედურების შესაბამისად, რომელიც ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებას N3. 05.01.07.

შეფასების კომპონენტები და მეთოდები ყველა სტუდენტის მიმართ არის სამართლიანი, გამჭვირვალე და კანონმდებლობის შესაბამისი. შეფასების კომპონენტები და მეთოდები გამოქვეყნებული და წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის, სილაბუსები განთავსებულია სტუდენტების ელექტრონულ პორტალზე და კურსების დაწყებამდე და გამოცდებამდე იღებენ საჭირო მითითებებს.

შეფასების კომპონენტები და მეთოდები შეესაბამება კურსსა და მისი სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დონის განსაზღვრის მიზნით, დაწესებულებას გააჩნია თითოეული სწავლის შედეგის შეფასების შესაბამისი მეთოდები და მიდგომები, რომელთა შერჩევასა გათვალისწინებულია სწავლების საფეხური და სამაგისტრო პროგრამების სპეციფიკა. შეფასების პროცესში, სტუდენტები მიიღებენ უკუკავშირს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებზე და გაეცნობიან, რამდენად მიაღწიეს სწავლის შედეგებს, დაწესებულებამ გამოთქვა მზადყოფნა მონიტორინგი გაუწიოს სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევას.

წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გასაჩივრონ შუალედური და საბოლოო გამოცდის შეფასება. გასაჩივრების კომისია იქმნება შუალედური და საბოლოო გამოცდების გასაჩივრების მიზნით, რექტორის შესაბამისი ბრძანების შესაბამისად. სტანდარტის კომპონენტი ეფუძნება თვითშეფასების ანგარიშს, თანდართულ დოკუმენტებსა და ადგილზე ვიზიტის დროს შეგროვებულ ინფორმაციას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება:	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

**3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები**

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და



კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ონლაინ გასაუბრების დროს (ამ პროგრამას ჯერ არ ჰყავს სტუდენტები, ამიტომ ვესაუბრეთ სხვადასხვა პროგრამების სტუდენტებს) გარკვეული ასპექტები გახდა ნათელი. პირველ რიგში, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ აქტიური კომუნიკაცია აქვთ ლექტორებთან სხვადასხვა საკითხებზე, ეს შეიძლება ეხებოდეს კონსულტაციის საათებს, განსაკუთრებით გამოცდის დროს აქვთ შეხვედრები ლექტორებთან და მათგან სასარგებლო მხარდაჭერას/ინფორმაციას იღებენ. მაგრამ არის ერთი რამ, რაც შეიძლება გაუმჯობესდეს. სილაბუსებში არ არის ასახული ლექტორებთან კონსულტაციის საათები. ვფიქრობთ, უკეთესი იქნება, თუკი სტუდენტებს მიაწოდებენ ისეთ სილაბუსებს, რომლებშიც მითითებული იქნება კონკრეტული საკონსულტაციო საათები, რათა დაზუსტებით იცოდნენ, როდის არიან მათი ლექტორები თავისუფალი, მათგან რაიმე სახის მხარდაჭერის მისაღებად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ სტუდენტებს ნებისმიერი საგნისთვის შეუძლიათ გამოცდის შესაფერისი თარიღის არჩევა და ტესტები ყოველ ჯერზე იცვლება. გამოცდები ტარდება საგამოცდო დარბაზში, რომელიც აღჭურვილია მოწყობილობების სიგნალების დაბლოკვის შესაბამისი ხელსაწყოებით და არის ჩამწერი ვიდეოკამერები, რათა გარკვეული პრეტენზიის შემთხვევაში სტუდენტებმა გადაამოწმონ თუ რასთან დაკავშირებით აქვთ პრობლემა.

გარდა ამისა, სტუდენტებს აქვთ წვდომა ბიბლიოთეკაზე, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს სწავლისთვის საჭირო ყველა მასალას და თუ მათ სჭირდებათ წიგნი, რომელიც არ არის ბიბლიოთეკაში, შეუძლიათ სთხოვონ მათ შეიძინონ იგი, ბიბლიოთეკარი განიხილავს საკითხს და შეიძენს წიგნს.

გარდა ამისა, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი, როგორც წესი, ინფორმირებულები არიან სხვადასხვა პროექტებისა და კონფერენციების შესახებ და ზოგიერთ მათგანს დაესწრნენ, თუმცა ყველა მათგანი არ მონაწილეობდა მომხსენებლად, ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ესწრება კონფერენციებს.

სტუდენტები უნივერსიტეტიდან რეგულარულად იღებენ კითხვარებს, რათა შეაფასონ სწავლებისა და სწავლის პროცესები და კონკრეტული კურსების ლექტორები. ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ლექტორთან ან კურსთან დაკავშირებით აქვთ რაიმე პრობლემა, ამ საკითხთან დაკავშირებით თავისუფლად მიმართავენ პროგრამის კოორდინატორს და აგვარებენ მას; აღნიშნულმა სტუდენტმა ასევე მოიყვანა მისი მეგობრების კონკრეტული მაგალითები, რომლებიც იმავე პროგრამაზე სწავლობენ.

უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში სტუდენტები ასევე იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა კომპანიაში ვაკანსიების შესახებ. ზოგიერთმა კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ მუშაობა მესამე კურსზე დაიწყო.

უფრო მეტიც, ისინი აგრძელებენ ლექტორებთან კავშირს და თუ სწავლის დამთავრების შემდეგაც სჭირდებათ უნივერსიტეტის დახმარება, იღებენ ამ მხარდაჭერას. ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ერთ-ერთ კომპანიაში დაიწყო მუშაობა და გამომდინარე იქიდან, რომ გარკვეული თეორიული საკითხები დავიწყებული ჰქონდა, დასჭირდა აღნიშნულ თეორიული მასალების გადახედვა და ეს დახმარება უნივერსიტეტისგან მიიღო.

დამსაქმებლებთან საუბრისას აღნიშნა, რომ ჩართულები არიან შესაფერისი კურსების შერჩევის პროცესში, რომლებიც მათი აზრით, სასარგებლოა სტუდენტებისთვის მუშაობის დასაწყებად, მაგრამ მაინც ჰქონდათ გარკვეული რჩევები ზოგიერთ კურსთან დაკავშირებით, რომლებიც სტუდენტებს მუშაობის დაწყებამდე უნარების გამომუშავებისთვის სჭირდებათ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- გასაუბრება სტუდენტებთან
- გასაუბრებები დამსაქმებლებთან
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- უკეთესი იქნება, თუ ლექტორები თავიანთ სილაბუსებში სამუშაო საათებს შეიტანენ.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები	<b>X</b>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტები ირჩევენ სამაგისტრო ნაშრომის თემას და ერთ ლექტორს, რომელიც ეხმარება პროცესის განმავლობაში. ლექტორებთან შეხვედრა აქტიური პროცესია და მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს მიმართონ ხელმძღვანელებს. არსებობს ერთი საკითხი, რაც უნდა გაუმჯობესდეს. სტუდენტებს მოეთხოვებათ იმუშაონ სამაგისტრო ნაშრომზე, მაგრამ ისინი არ სწავლობენ კვლევის მეთოდოლოგიის საკითხებს, რომლებიც საჭიროა სტუდენტების კვლევის უნარების განვითარება/გაცნობისთვის, როგორ მოიძიონ სანდო წყაროები, როგორ დაიმოწმონ წყაროები და სწორად გამოიყენონ ციტატები და ტექსტები. სტუდენტებისთვის რთული იქნება ნაშრომზე მუშაობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ იცნობენ კვლევის უნარების სპეციფიკას. უნივერსიტეტის შინაგანაწესის მიხედვით, მაგისტრანტის ხელმძღვანელი: ეხმარება მაგისტრანტს საკვლევი თემის არჩევაში, სისტემატიურად უწევს კონსულტაციას საკვლევი გეგმის, მიმდინარეობისა და ნაშრომის ფორმატის შესახებ, ატარებს ინდივიდუალურ შეხვედრებს, რომელთა ხანგრძლივობა დამოკიდებულია საკვლევი მასალის სპეციფიკაზე, აწვდის თემის ირგვლივ არსებულ მასალებს, ხელს უწყობს საჭირო ლიტერატურის მოძიებაში, ხელს უწყობს მაგისტრანტის მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში და მხარს უჭერს გრანტების მოპოვებაში. არ არსებობს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებასა და განვითარებას.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების რაოდენობა	0
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	0
თანაფარდობა	0

### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრება სტუდენტებთან
- სილაბუსები

### რეკომენდაციები:

- სტუდენტებს უნდა შესთავაზონ ლექციები კვლევის უნარების შესახებ და უნდა შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის მკაფიო აღწერა. ჩვენ შევნიშნეთ, რომ სხვა პროგრამის სამაგისტრო ნაშრომები მოკლეა სულ რამდენიმე მითითებული ლიტერატურით, რაც კვლევითი სამაგისტრო

ნაშრომის სტანდარტს არ შეესაბამება. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკა არ არის ყოვლისმომცველი და საჭიროებს რესტრუქტურისადაც.

- წმ. ანდრიას ქართულმა უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებასა და განვითარებას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

**4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა**

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1. ადამიანური რესურსი**

- ➤
- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით

- გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
  - პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
  - პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
- 

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბიზნეს ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში სულ თოთხმეტი ადამიანია ჩართული, მათგან რვა წარმოადგენს ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტს, ხოლო 6 - წმ. ანდრიას ქართულ უნივერსიტეტს. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 10 (პროფესორი - 3; ასოცირებული პროფესორი - 2; ასისტენტ-პროფესორი - 5, მათ შორის ავილირებული პროფესორი - 1, ავილირებული ასოცირებული პროფესორი - 1, ავილირებული ასისტენტ-პროფესორი - 1. პროგრამა მოიცავს 4 მოწვეულ პერსონალს, რომლებიც პროფესიული ნიშნით შეირჩა, წიგნებზე/სახელმძღვანელოებზე მუშაობით, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართვით, საერთაშორისო თანამშრომლობით და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით. პროგრამას მართავს ერთი ადგილობრივი და ერთი უცხოელი თანამშრომელი. მათ აქვთ პროგრამის განვითარებისთვის საჭირო გამოცდილება და სამეცნიერო ნამუშევრები. ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. მათ აქვთ მჭიდრო კონტაქტი უცხოურ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ინსტიტუტებთან, რაც კარგი საფუძველია პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ შესასრულებელ ფუნქციებს. აკადემიურ პერსონალს აქვს საჭირო განათლება პროგრამის ხელმძღვანელობისთვის, რასაც მათი სამეცნიერო მიღწევების ხუთწლიანი გამოცდილება ცხადყოფს. კერძოდ, ბიზნეს ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის მონაწილეებს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ჰქონდათ 131 სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი, მათ შორის: პუბლიკაციები რეგიონულ ჟურნალებში - 9, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 58, საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები - 49, სხვა სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა - 15. აღსანიშნავია, რომ SCOPUS მოიცავს იმ პერსონალის მიერ დაწერილ სტატიებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ბიზნეს ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამაში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის გეგმა ყოველ სემესტრში ახლდება და ითვალისწინებს შესაბამის (საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ა.შ.)

ფუნქცია-მოვალეობებს. მათი დატვირთვის გაანგარიშებისას, გვემა მათ სხვა უნივერსიტეტებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დატვირთვასაც ითვალისწინებს. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა ყოველ სემესტრში ახლდება და, ითვალისწინებს პერსონალის დატვირთვას ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც უკავიათ აკადემიური/კვლევითი თანამდებობა ან თანამშრომლობს მათთან, როგორც მოწვეული პერსონალი. პერსონალის დატვირთვა მოიცავს ყოველკვირეულ სამუშაო საათებს საკლასო ოთახში და საკონსულტაციო საათებს, საგამოცდო დავალებების მომზადებასა და ნაშრომების გასწორებაზე დახარჯულ დროს, საკვალიფიკაციო ნაშრომისა და პრაქტიკის ხელმძღვანელობას, პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობას, სხვადასხვა სახის სამეცნიერო აქტივობებს და ა.შ. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და შეფასება, ასევე სამაგისტრო ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობა განაპირობებს კვლევის კომპონენტის დროულად და სრულყოფილად შესრულებას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი <sup>6</sup>	საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში) <sup>7</sup>	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	10	10	9	3
- პროფესორი	3	3	3	0
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2	0
- ასისტენტ-პროფესორი	4	5	4	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	4	3	0	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსი
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სია კურსების მიხედვით

<sup>6</sup> ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

<sup>7</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- პირადი საქმეები და რეზიუმეები
- უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაცია.
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესები (პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები)
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობა, მათი ფუნქციები და მოვალეობები
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგები

**რეკომენდაციები:**

- არ არის მითითებული

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია**

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბიზნეს ინფორმატიკის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში სულ თოთხმეტი ადამიანია ჩართული, აქედან 10 აკადემიური და 4 მოწვეული პერსონალი, რომლებსაც აქვთ სტუდენტების ბიზნეს ინფორმატიკის სფეროში გაძლიერებული შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც დასტურდება მათი უკანასკნელი 5 წლის აკადემიური საქმიანობით. კერძოდ, ბიზნეს ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული ადამიანების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში 131-ს შეადგენს. მათ შორის: ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 9, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 58, საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები - 49, სხვა სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის მაჩვენებელი - 15. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს ინფორმატიკის

სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ გამოქვეყნებული სტატიები ინდექსირებულია SCOPUS-ში. უნივერსიტეტმა შეიმუშავა ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის ხელმძღვანელობის მოთხოვნებს და პასუხობს პროგრამის სპეციფიკას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	14	9	3
- პროფესორი	3	0	0
- ასოცირებული პროფესორი	3	0	0
- ასისტენტ-პროფესორი	4	0	0
- მოწვეული პერსონალი	4	0	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები და დიპლომები.

#### რეკომენდაციები:

არ არის მითითებული. რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

#### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>



### 4.3.

#### აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესში გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: ეროვნული და საერთაშორისო, სხვადასხვა პუბლიკაციები, სახელმძღვანელოები, მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტებში, პროექტებსა და ღონისძიებებში, ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების, პროექტებისა და ღონისძიებების მართვა/ორგანიზება. პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ასევე ხორციელდება ჩატარებული გაკვეთილების მონიტორინგით და სტუდენტების გამოკითხვით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება შესაბამისი ღონისძიებები. უნივერსიტეტი ახორციელებს პროფესიული გადამზადების კურსებს, სასერთიფიკატო/სასწავლო/კვალიფიკაციის ამაღლების კურსების დაფინანსებას/თანადაფინანსებას. ამასთან, დასაქმებულს შეუძლია დასაბუთებული განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტს და მოითხოვოს მისი პროფესიული განვითარებისთვის საჭირო კურსების დაფინანსება, აგრეთვე სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, შესაძლებელია სტატის გამოქვეყნების დაფინანსება ადგილობრივ და საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში, სამეცნიერო ნაშრომის ბეჭდვა (წიგნი, მონოგრაფია, ლექსიკონი, ენციკლოპედია და ა.შ. საზღვარგარეთის სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა (კონფერენცია, სამუშაო შეხვედრა, სიმპოზიუმი და ა.შ. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება უნივერსიტეტში და ა.შ.).

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულება.
- სამეცნიერო კვლევისა და განვითარების სამსახურის დებულება.
- თანამშრომელთა შეფასების კითხვარი (არ მოიცავს მენეჯერულ პოზიციებს).
- სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები.
- პერსონალის საქმიანობის შეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგები.
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.
- კვლევის დაფინანსების წესი
- ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების პირადი საქმეები
- სამეცნიერო აქტივობები.

- გასაუბრების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

არ არის მითითებული. რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.4. მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უნივერსიტეტს აქვს პროგრამის წარმატებით განხორციელების ყველა პირობა. კერძოდ: სასწავლო დარბაზები შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით, ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამუშაო სივრცეები, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ კომპიუტერით, თავისუფალი სივრცეებით და ა.შ. ამერიკული კომპონენტი განხორციელდება ჰიბრიდულ ფორმატში. ბიბლიოთეკებს აქვთ ყველა საჭირო ლიტერატურა - პროგრამით განსაზღვრული კურსების სილაბუსებში მითითებული სრული ძირითადი ლიტერატურა, როგორც წიგნის, ასევე ნაწილობრივ ელექტრონული სახით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მოითხოვონ და მიიღონ ისინი. სურვილის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ ადგილზე შეუკვეთონ მათთვის საჭირო გვერდების ასლები. უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზები, რომელთა მეშვეობითაც მათ შეუძლიათ გაეცნონ თანამედროვე პუბლიკაციებს. გარდა ამისა, ბიბლიოთეკა სტუდენტებს ასევე სთავაზობს ონლაინ სერვისებს Gmail და Facebook არხების საშუალებით. უნივერსიტეტი

არის საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმის წევრი, რომელიც თავის მხრივ არის საერთაშორისო კონსორციუმის ELFE წევრი. ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე უნივერსიტეტს აქვს ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომა. უნივერსიტეტს აქვს სპეციალური პანდუსები და ადაპტირებული სანიტარული განყოფილება შშმ პირებისთვის; აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა (კომპიუტერის კლასები და ლაბორატორიები და სხვ.), რაც სრულიად საკმარისია პროგრამის განსახორციელებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმთან.
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურის დებულებები.
- შესყიდვის დოკუმენტაცია
- ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზების ხელმისაწვდომობის დოკუმენტაცია
- ვიზუალური შემოწმება
- ფაქტობრივი მდგომარეობა;

**რეკომენდაციები:**

არ არის მითითებული.

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4. მატერიალური რესურსი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

დაწესებულება წარმოადგენს პროგრამის ბიუჯეტს, სადაც ჩამოთვლილია შემოსავლის წყაროები და გაწეული ხარჯები. ხარჯები მოიცავს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს და წახალისებას, ასევე პერსონალის მონაწილეობას კონფერენციებში, სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებას, სპორტულ და კლასგარეშე აქტივობებს, სტიპენდიებს და შეღავათებს.

ბიზნეს ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება ბიზნესის, გამოთვლითი და სოციალური მეცნიერებების სკოლის ბიუჯეტიდან, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ბიზნეს ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის ბიუჯეტი
- გასაუბრების შედეგები

**რეკომენდაციები:**

არ არის მითითებული.

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<b>X</b>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

**5.1. შიდა ხარისხის შეფასება**

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

წმ. ანდრიას ქართულ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მოიცავს სისტემურ გამოკითხვებს, სასწავლო გეგმის, მომსახურებებისა და რესურსების შეფასებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყურადღებას ამახვილებს ყოველწლიურ გამოკითხვებზე; ეფექტური მონიტორინგის შენარჩუნებისთვის, ყველა დაინტერესებული მხარე ჩართულია შეფასების შედეგების გაანალიზებაში, სტრატეგიული განვითარების სამსახურთან მიზნების იდენტიფიცირებისა და განვითარების ტენდენციების გამოვლენის მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და სააკრედიტაციო ვიზიტისას გამოვლენილი მიგნებების მიხედვით, უნივერსიტეტში პროგრამის შეფასება თანმიმდევრულია და შეფასების შედეგები ზოგადად გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის. ერთობლივი პროგრამის უფრო ფართო შეფასება მოიცავს პროგრამის მთლიანი შეფასების პროცესს, რომელიც განხორციელდება ცალ-ცალკე წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტის და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის მიერ. ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის პროგრამის შეფასების პროცესი განსაზღვრავს პროგრამის საერთო შეფასებას ყოველ ორ (2) წელიწადში ერთხელ; თუმცა კურსები მუდმივად ფასდება სწავლების პროცესში და დასრულების შემდეგ. სამაგისტრო პროგრამის დასრულების

შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელთა გუნდი და პარტნიორი უნივერსიტეტების პროგრამის ხელმძღვანელები აზიარებენ შეფასების პროცესის შედეგებს.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA) პრინციპზე. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულნი არიან ხარისხის შიდა შეფასების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს და ხელს უწყობს პროგრამის პერსონალის ჩართულობას, რათა უზრუნველყოს შეფასების კონსტრუქციული პროცესი; შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიში მზადდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. პროცესში ჩართულები იყვნენ ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც. თვითშეფასების პროცესმა და სამუშაო ჯგუფს შორის შესაბამისი დავალებების განაწილებამ უზრუნველყო სისუსტეებისა და მომავალი განვითარების შესაბამისი შესაძლებლობების გამოვლენა.

ხარისხის შიდა შეფასების პროცესში გამოიყენება საჭიროებასა და აუცილებლობაზე დაფუძნებული შეფასების გამოკითხვები, რათა მიზანმიმართულად გამოვლინდეს პრობლემები და უზრუნველყოფილი იყოს ჩარევა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ეს გამოკითხვები მიმართულია სტუდენტების საჭიროებებისა და სურვილების გამოვლენისკენ, ასევე, სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების ყოველწლიური გამოკითხვები ტარდება პროგრამის ზოგადი ადმინისტრირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- პროგრამის განმავითარებელი ჯგუფის სამუშაო ოქმი
- გასაუბრებების შედეგები

#### **რეკომენდაციები:**

არ არის მითითებული.

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- სასარგებლო იქნება, თუ ორივე დაწესებულება იმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის საერთო შეფასების მექანიზმზე პროგრამის ერთობლივი ხელმძღვანელობის სპეციფიკის გათვალისწინებით; ხელს შეუწყობს კურსის შეფასების პროცედურების მოქნილობას, შეფასებას და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მუდმივ მონიტორინგს.

#### **შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 ხარისხის შეფასება	შიდა X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წმ. ანდრიას ქართულ უნივერსიტეტში ხარისხის გარე უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების გზით, რასაც ატარებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE). უნივერსიტეტი ზოგადად განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს, მიგნებებს კი წარუდგენს პროგრამების ხელმძღვანელებს შემდგომი განხილვისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს გატარებული ღონისძიებების შესაბამისობას მიღებულ რეკომენდაციებთან. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ახალია, უნივერსიტეტი გამოთქვამს მზადყოფნას, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, განიხილოს აკრედიტაციის პროცესის ყველა მიგნება.

პროგრამა შეაფასა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარგის ექსპერტმა. მან ერთობლივი ხელმძღვანელობა, სტრუქტურა და პრაქტიკული ღირებულება, ორივე დაწესებულების თანამშრომლებთან ერთად, დაასახელა როგორც ძირითადი ძლიერი მხარე. წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი განსაზღვრავს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას, როგორც უპირატესობას შემდგომი განვითარებისთვის, შესაბამისად, 2023-2024 სასწავლო წლიდან დაიგემა კოლეგიალური შეფასების სისტემის პილოტირება.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- პროგრამის განმავითარებელი ჯგუფის სამუშაო ოქმი
- ბიზნეს ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზი
- დარგის ექსპერტის შეფასება
- გასაუბრებების შედეგები

#### რეკომენდაციები:

არ არის მითითებული.

#### რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. ხარისხის შეფასება;	გარე X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და სერვისის გაუმჯობესებისთვის, წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს უწყვეტ მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვების განხორციელების მთავარ საშუალებას. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის მეშვეობით. აუცილებლობის შემთხვევაში ასევე ეწყობა ფოკუს ჯგუფები. კმაყოფილებისა და საჭიროებების შეფასებითი გამოკითხვები გამოიყენება პრიორიტეტებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებში და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

ყოველი სემესტრის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ამოწმებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შეფასების შედეგებს იყენებს სასწავლო პროცესების გასაუმჯობესებლად. პროგრამა სარგებლობს დარგობრივი საბჭოს პრაქტიკით, რომელიც შედგება პროგრამის ხელმძღვანელებისგან, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის წარმომადგენლისგან, შესაბამისი დარგის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისგან, დამსაქმებლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებისგან. დარგობრივი საბჭო ასევე უზრუნველყოფს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას პროგრამის შემუშავების პროცესში.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ბენჩმარქინგს საუკეთესო პრაქტიკებისთვის, რათა განავითაროს კონკურენტული და ინდივიდუალური პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებს დარგის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებას - მანჩესტერის უნივერსიტეტი, უტრეხტის უნივერსიტეტი, რიგის ტექნიკური უნივერსიტეტი, ბელგრადის უნივერსიტეტი, ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსიტეტი, კანზერას უნივერსიტეტი, იოჰანეს კეპლერის უნივერსიტეტი ლინცში.



**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- პროგრამის განმავითარებელი ჯგუფის სამუშაო ოქმი
- ბიზნეს ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის შეფასების ანალიზი
- ბენჩმარკინგის დოკუმენტი
- გასაუბრებების შედეგები

**რეკომენდაციები:**

არ არის მითითებული.

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ინფორმატიკა, სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სეიფედინ კადრი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

მანანა ხაჩიძე

მაქსიმ იავიჩი

თამთა ცხოვრებაძე

ია ბუცხრიკიძე